პროექტის ფაქტები

ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

ევროკავშირის და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტი - ბავშვთა დაცვის სისტემებისა და სერვისების გაძლიერება საქართველოში



განხორციელების ვადა: 10.12.2020 - 10.12.2023

EaP ქვეყნები:
Georgia

ევროკავშირის წვლილი: € 2 000 000

მთლიანი ბიუჯეტი: € 2 137 614

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):
United Nation Children's Fund

სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:
facebook.com/unicefgeorgia,

პროექტის ვებსაიტები: unicef.org/georgia/

პროექტის აღწერა:

ევროკავშირის და გაეროს ბავშვთა ფონდის ერთობლივი პროექტი - ბავშვთა დაცვის სისტემებისა და სერვისების გაძლიერება საქართველოში
პროექტის მიზანია დაეხმაროს მთავრობას ახლად მიღებული ბავშვის უფლებათა კოდექსის განხორციელებაში, მათ შორის, დაგეგმილი ღონისძიებების დეცენტრალიზაციაში, ადგილობრივ დონეზე ბავშვთა უფლებების პატივისცემისა და დაცვის გაუმჯობესებაში.
კონკრეტულად, პროექტი:
-გააძლიერებს კანონმდებლობასა და პოლიტიკას, სპეციალური დაწესებულებების დახურვის ან რესტრუქტურიზაციის და ამ დაწესებულებებში განთავსებული ბავშვების ოჯახურ გარემოში გადაყვანის მიზნით. პროექტი ასევე გააძლიერებს სოციალური მომსახურების სფეროს მუშაკების შესაძლებლობებს ცენტრალურ და მუნიციპალურ დონეებზე, ბავშვებისა და ოჯახების მხარდაჭერისა და დაცვის მიზნით.

-პროექტის ფარგლებში შემუშავდება საჭიროებებზე დაფუძნებული სოციალური პროგრამები, რომლებიც ადგილობრივ მუნიციპალიტეტებში განხორციელდება. სპეციალური ღონისძიებების მეშვეობით, ბავშვთა მიმართ ძალადობის შემცირების მიზნით, მოხდება პოზიტიური მშობლობის მნიშვნელობის შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა.

- მართლმსაჯულების დარგში, პროექტის შედეგად დამატებით სპეციალიზაციას შეიძენენ სისხლის სამართლის

მოსალოდნელი შედეგები:

•დეინსტიტუციონალიზაციის და ოჯახის მხარდამერი სერვისების განვითარების საშუალებით ბავშვები სარგებლობენ მზრუნველი, ოჯახურ გარემოთი
•სოციალური კეთილდღეობის ინსტიტუტები და პერსონალი ახორციელებს ხარისხიან და საჭიროებაზე დაფუძნებულ სოციალურ მომსახურებებს ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე
•მოქალაქეები, საზოგადოება, პროფესიონალები და მშობლები მეტად მიმართავენ აღზრდის პოზიტიურ მიდგომებს და პატივს სცემენ ბავშვთა უფლებებს (მათ შორის გოგონებისა და ბიჭების უფლებას, იზრდებოდნენ ძალადობისგან თავისუფალ, ოჯახურ გარემოში), ბავშვები კი მეტად ინფორმირებულნი არიან საკუთარი უფლებების დაცვის მექანიზმების შესახებ
•მართლმსაჯულების სისტემა (იუსტიციის სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, სასამართლო, პროკურატურა, იურიდიული დახმარების სამსახური) იყენებს ბავშვზე მორგებულ მიდგომებს კანონთან კონტაქტში მყოფ ბავშვებთან მიმართებაში. მათ შორის იგულისხმება დაზარალებული და მოწმე ბავშვები და ოჯახებისგან განცალკევებული ბავშვები
•იუსტიციის სამინისტროს დანაშაულის პრევენციის, არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო ახორციელებს დანაშაულის პრევენციის რეფერირების პროცედურებს და ხარისხიან პროგრამებს რთული ქცევის, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიუღწეველ და განრიდებული ბავშვებისთვის.